სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის

განვითარების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა

მაია (მაკა) ვირსალაძე

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, სამუსიკო ხელოვნების დოქტორი

პრეამბულა

თბილისის ვანო სარაჯიშვილი სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია დაარსებიდან დღემდემდე ქართული კულტურის, სამუსიკო მეცნიერების და განათლების უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენს. ის რჩება ერთგული ტრადიციებისა და ამავე დროს ეზიარება უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო სფეროში არსებულ თანამედროვე მიღწევებს.

ფორმატიდან გამომდინარე ყურადღებას მიზნებისა და ამოცანების მხოლოდ მცირე დროში შესასრულებელ მხარეებზე შევაჩერებ.

მოგეხსენებათ კონსერვატორიას აქვს დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა შესაბამისი მიზნებით. მოგახსენებთ, თუ როგორ მაქვს წარმოდგენილი თითოეული მიზნის განხორცილებეის გზები.

<u>**სტრატეგიული მიზანი 1: კონსერვატორიის ყველა საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს მოტივირებული სტუდენტი, უმაღლესი დონის პედაგოგიური პერსონალი და შესატყვისი სასწავლო გარემო ყველა პირის პოტენციალის რეალიზებისათვის.**</u>

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, დასაქმების სფეროში არსებული ხარვეზებით არის განპირობებული. მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია ამ პრობლემის გადაჭრა, მაგრამ შესაძლებელია გამოსწორების სტრატეგიის დასახვა, გეგმის შემუშავება და შესაბამისი კონკრეტული ნაბიჯების გადაგმა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ კონსერვატორიის ძალებით შეუძლებელია, მაგრამ რაც კონსერვატორიას ხელეწიფება, მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. სახელდობრ, უნდა დაიწყოს კიდევ მეტი პოპულარიზებით, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე.

ამ მიმართულებით, ვფიქრობ, კონსერვატორიის წარმატებულ კურსდამთავრებულთა პოტენციალის კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით გამოყენება არის შესაძლებელი.

საერთაშორისო სასწავლო კურსი-პროექტები

მსოფლიოში მუსიკალური განათლების სფეროში აპრობირებულია მოკლევადიანი სასწავლო კურსები, მაგალითად საზაფხულო კურსები. შესაძლებელია კონსერვატორია გახდეს, ამ კურსების ორგანიზატორი და კონსერვატორიის შენობაში, წარმატებულ საზღვარგარეთ მოღვაწე კურსდამთავრებულთა, კონსერვატორიის პედაგოგთა, ასევე ერასმუსით ჩამოსულ უცხოელ პროფესიონალთა შემადგენლობის ხელმძღვანელობით ჩატარდეს პროექტები, მასტერკლასებით, ლექციებით, დისკუსიებით, რეპეტიციებითა და კონცერტებით. ამ კურსებზე კი თბილისის კონსერვატორიის სტუდენტების გარდა ,

უცხოელ ახალგაზრდებსაც ქონდეთ საშუალება მონაწილეობის მიღების. უცხოელებისთვის მონაწილეობა შესაძლოა ფასიანი იყოს, რაც კონსერვატორიას დამატებით მატერიალურ რესურსსაც მოუტანდა.

ამ ეტაპზე მოკლე ვადებში შეიძლება დაიწყოს გეგმის გაწერა, შესაბამისი საორგანიზაციო ჯგუფის ჩამოყალიბება და კომუნიკაციის დაწყება.

კონსერვატორიის მეგობართა ფონდის ჩამოყალიბება

კონსერვატორიის უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ კურსდამთავრებულთა გამოყენება მატერიალური ფონდის გამდიდრებისათვისაც არის შესაძლებელი. უნდა შედგეს კომუნიკაცია, განხორციელდეს პიარ კომპანია ამ ფონდისათვის რესურსების მოსაზიდად, როგორც აღვნიშნეთ, წარმატებულ კურსდამთავრებულთა, ასევე ადგილობრივ ბიზნესმენთა მოსაზიდად. უნდა გამოიკვეთოს კონკრეტული მიზნები , რისთვისაც პირველ ეტაპზე უფრო მეტად იქნებოდა სახსრების დახარჯვა, ეს შეიძლება იყოს, ნიჭიერ სტუდენტთა პოპულარიზაცია, კონკურსებში მონაწილეობა, შეჭირვებული სტუდენტების დახმარება და ა.შ.

მრჩეველთა საბჭო

პრობლემების უკეთ იდენტიფიცირებისათვის, ასევე მართვის პროცესში პედაგოგებისა და სტუდენტების მეტი ჩართულობისათვის შეიქმნას როტაციული შემადგენლობის მრჩეველთა საბჭო.

ჩემი მოსაზრებით, კონსერვატორიის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების, მეტი ჩართულობისათვის მართვის პროცესში და პასუხისმგებლობის გადანაწილებისათვის, საჭიროა შეიქმნას მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობა დაკომპლექტდება ლექტორებითა და სტუდენტებით. წევრები ფაკულტეტების საბჭოს ღია კენჭისყრით და როტაციის პრინციპით აირჩევა.

მრჩეველთა საბჭო იქნება კონსერვატორიის მართვის სისტემის დემოკრატიზაციის გამოხატულება, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს პროცესების მეტ გამჭვირვალებას და მეორე მხრივ, მონიტორინგს გაუწევს ყველა სფეროს .

თითოეული ფაკულტეტების საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით აირჩევა ორი წარმომადგენელი მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისათვის. მრჩეველთა საბჭოს არჩევნები ჩატარდება ყოველ სემესტრში. როტაციის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ერთსა და იმავე პირის არჩევა ზედიზედ მხოლოდ ორჯერ არის შესაძლებელი და წევრთა შემადგენლობა მონაცვლეობს სემესტრიდან სემესტრში. თუმცა დასაშვებია ვადის გასვლის შემდეგ, ერთი სემესტრის გამოტოვებით, ყოფილი წევრი კვლავ იყოს წარდგენილი მრჩეველთა საბჭოსათვის. მრჩეველთა საბჭოში არ შეიძლება აკადემიური საბჭოს წევრისა და ამა თუ იმ დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევა.

მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედის ორი სტუდენტი თითოეული ფაკულტეტიდან. შერჩევას სტუდენტური თვითმმართველობა ახორციელებს, შეიძლება იყოს ნებისმიერი კურსისა და პროგრამის წარმომადგენელი. არ არის აუცილებელი თვითმმართცველობის წევრობა. როტაციის პრინციპი იგივეა, ყოველ სემესტრში ახალი წევრის წარდგენა ხდება. ერთსა და იმავე სტუდენტს შეუძლია ზედიზედ მხოლოდ ორჯერ იყო მრჩეველთა საბჭოს წევრი. ერთი სემესტრის გამოტოვებით, ყოფილი წევრი შეიძლება კვლავ იყოს წარდგენილი მრჩეველთა საბჭოსათვის.

მრჩეველთა საბჭოს მუშაობის უმთავრესი პრინციპი უნდა გახდეს კომუნიკაცია კონსერვატორიის ყველა რგოლთან, ასევე კურსდამთავრებულებთან. პრობლემების

იდენტიფიცირებისათვის პერიოდულად უნდა დააგზავნონ შეკითხვები და მიღებული პასუხებზე იმუშაონ ,,გონებრივ შტურმთან" მიახლოებული მეთოდიკით.

მუშაობა ანაზღაურების გაუმჯობესების მიმართულებით

უმაღლესი დონის პედაგოგიური პერსონალის შენარჩუნებისა და მოზიდვისათვის აუცილებელია ღირსეული ანაზღაურების არსებობა. დღევანდელი მდგომარეობა ამ მხრივ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ პრობლემის მოგვარებისათვის გარდაუვალია **კომუნიკაცია საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.**

სტუდენტთა და ლექტორთა მოტივაციის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია **ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონის შენარჩუნება და განვითარება.** ამ მხრივ ერთ-ერთი დამატებითი აქტივობა იქნება ზემოთ დასახელებული **სასწავლო კურსი-პროექტები,** რომლებსაც საერთაშორისო დატვირთვა ექნება, როგორც წამყვანების ასევე მონაწილე სტუდენტების მხრივ.

კურსები უნდა იყოს როგორც საშემსრულებლო მიმართულებით, ასევე კომპოზიციის, მუსიკის ტექნოლოგიისა და მუსიკოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. შესაძლოა ერთ პროექტში ყველა ჩამოთვლილი სპეციალობის სტუდენტების ჩართულობა.

ინტერნაციონალიზაციას ხელს უწყობს პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი. სასურველია **დაფუძნდეს საერთაშორისო ახალგაზრდული საკომპოზიტორო კონკურსიც** . კონკურსის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის დაიგეგმოს კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებების შესრულებაც. ამ მხრივ რეალისტურია და რაციონალური, რომ კონკურსი კამერული შემადგენლობის ნაწარმოებებზე გათვლით დაიგეგმოს. ამისათვის კონსერვატორიის წიაღში ჩამოყალიბებულმა

ანსამბლმა Georgia Modern-მა მიიღოს კონსერვატორიასთან არსებულის სტატუსი და საერთაშორისო ახალგაზრდული საკომპოზიტორო კონკურსის გამარჯვებული ნაწარმოებების შესრულება უზრუნველყოს.

გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტთა და ლექტორთა **შერჩევაში გამჭვირვალე მექანიზმების შენარჩუნება.**

კონსერვატორიის მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო სარეკლამო გამოფენა-ბაზრობებზე. ასეთი ტიპის სარეკლამო აქციებზე შესაძლებელია საუბარი როგორც ზემოთდასახელებულ კურსებზე, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებზე, წარმატებულ კურსდამთავრებულებზე. ამ გზით შესაძლებელია დაინტერესებული სტუდენტების მოძიება. ამ მიმართულებით ჩატარდეს კონსულტაციები მიმართულებებთან მრჩეველთა საბჭოსთან.

კომუნიკაცია ზოგადსაგანმანათლებლო, მუსიკალურ, ასევე ხელოვნების სკოლებთან კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების , აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით. მიმართულებებთან და მრჩეველთა საბჭოსთან კონსულტაციების შედეგად დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

<u>სტრატეგიული მიზანი 2: კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტებულია ეროვნული და საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოების მიერ. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები კარგად არის ორგანიზებული; მოქმედებს უკუკავშირის ეფექტური სისტემები, რომლებიც შესაძლებელს ხდის სწავლებასა და სწავლაში არსებული შეფერხებების იდენტიფიცირებას და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას.</u>

თსკ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამული ჯგუფების მიერ მოხდეს **2023 წლის აკრედიტაციის პასუხის გაანალიზება, შეფასება, საპასუხო წერილის გამზადება.** ამისათვის დაიგეგმოს შეხვედრები თავისი დღის წესრიგით.

მრჩეველთა საბჭოს მუშაობა სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით. მრჩეველთა საბჭომ შეიმუშაოს სტუდენტთა და კუსდამთავრებულთა დასაქმების მხრივ მხარდამჭერ ღონისძიებათა რეალური ნუსხა. მრჩეველთა საბჭომ შეითავსოს კარიერული განვითარების კონსულტანტის ფუნქციაც.

<u>სტრატეგიული მიზანი 3: კონსერვატორიის პერსონალისა და სტუდენტების შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზებაში.</u>

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება. კონსულტაციების შედეგად ცენტრის ფუნქციონირების სტრუქტურის დაგეგმვა, სტრუქტურის შესაბამისი პერსონალის მისაღებად კონკურსის პირობების შემუშავება, კონკურსის ჩატარება, სამოქმედო გეგმის, ფუნქციისა და მოვალეობების გაწერა.

სამეცნიერო დეპარტამენტში ექსპერიმენტული მუსიკის კვლევის და ინოვაციური მეთოდების დანერგვის განყოფილების ჩამოყალიბება. კონსერვატორია ტრადიციების შენარჩუნების გარდა ყოველთვის პასუხობდა თანამედროვე გამოწვევებს. ბოლო პერიოდში ამის დადასტურება იყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ,,მუსიკა და დღევანდელობის", მუსიკის ტექნოლოგიის დანერგვა, კონსერვატორიის თანამშრომელების მიერ მხატვრული კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება რუსთაველის ფონდის ეგიდით ჩატარებული ფუნდამენტური კვლევის

ფარგლებში, ასევე კონსერვატორიის თანამშრომელების მიერ ამჟამად მოქმედი ფუნდამენტური კვლევის ფარგლებში ეკომუსიკოლოგიის მხატვრული კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება. სიახლეების უფრო ინტენსიური დანერგვისათვის საჭიროა ძალების კონცენტრირება და მიღწევების გავრცელება. ამ განყოფილების ჩამოყალიბებისათვის კონსულტაციების გავლა სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, მიმართულებებთან სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის, ფუნქციების განსაზღვრისა და განყოფილების ხელმძღვანელის დასანიშნად.

<u>სტრატეგიული მიზანი 4: კონსერვატორია ხელს უწყობს ქართული კულტურისა და საზოგადოების განვითარებას საჯარო კონცერტების, საჯარო დისკუსიებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების მეშვეობით.</u>

დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი, ახალი აქტივობების, მათ შორის დისკუსიებისა და სხვა ინტერაქტიული აქტივობების დაგეგმვა მიმართულებებთან და მრჩეველთა საბჭოსთან კონსულტაციების შედეგად. მაგალითად, შესაძლებელია ჩატარდეს სკოლის სექტორზე გათვლილი, ასევე რეგიონალური აქტივობები.

<u>სტრატეგიული მიზანი 5: კონსერვატორიის საზოგადოების წევრები იზიარებენ საერთო ღირებულებებს და მხარს უჭერენ ხარისხის კულტურის შეთანხმებულ პრინციპებს</u>

მოცემული მიზანი შედარებით ზოგადი ხასიათისაა, თუმცა მისი რეალიზება მნიშვნელოვანი ღირებულებების დაცვას გულისხმობს. ზემოთ არაერთგზის ვახსენე როტაციული პრინციპით არჩეული მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება, რომელიც დემოკრატიული და გამჭვირვალე მართვის სისტემის უზრუნველყოფას გულისხმობს.

გაძლიერდეს კომუნიკაცია შიდა სტრუქტურებს შორის.

ყველა სტრუქტურისა და თანამდებობის პირთა ფუნქციების განსაზღვრის მონიტორინგი.

ჰუმანიზმის ღირებულებების დანერგვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება შეიტანოს კონსერვატორიის მეგობართა ფონდმაც. სტუდენტთა დახმარების გარდა, ამ ფონდის რესურსით შესაძლებელია პენსიაზე გასული ლექტორების დახმარება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იქნებოდა მძიმე სოციალური მდგომარეობის, დაბალი პენსიებისა და ინფლაციის მაღალი დონის გათვალისწინებით.

კონსერვატორიაში ჩამოყალიბებული ახალი ტრადიციის შესაბამისად მადლობის სიგელების დარიგებას სასურველია ფინანსური მხარდაჭერაც ახლდეს, განსაკუთრებით პენსიაზე გასვლისა და საიუბილეო თარიღის შემთხვევაში.

კონსერვატორიის კონსულტაციების შედეგად გამოიყოს რესურსი აკადემიური საბჭოს წევრების, ასევე მიმართულებების ხელმძღვანელების მუშაობის ანაზღაურებისათვის.

და ბოლოს დავამატებ, რომ დროითი პერიოდი, თუ რამდენ ხანს მოუწევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს საქმიანობა მოცემული სტატუსით, დღეისათვის ცნობილი არ არის, შესაბამისად რთულია ზუსტად დაგეგმო განსახორციელებელი აქტივობები და განსაზღვრო ზემოთ დასახელებული აქტივობების რა პროცენტი შესრულდება.